

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსი

კურსის სახელწოდება: Adobe Photoshop CS5/CS6

კურსის მოცულობა: 15 საათი.

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლები:

ლელა მაისურაძე

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: კურსი განკუთვნილია ნებისმიერი მსმენელისათვის, რომელსაც სურს აითვისოს პროგრამა **Adobe Photoshop CS5/CS6** და შეიძინოს აღნიშნულ პროგრამაში მუშაობის უნარები.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:

მსმენელს უნდა გააჩნდეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში საბაზისო კომპეტენციები. გამომუშავებული უნდა ჰქონდეს კომპიუტერული უნარ-ჩვევები მომხმარებლის დონეზე და შეეძლოს ელემენტარული ტექნიკური პრობლემების გამოსწორება ოპერაციულ სისტემა MS Windows-ის საბაზისო ცოდნით.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

სასწავლო კურსის მიზანია მსმენელმა შეისწავლოს:

- რასტრული (Adobe Photoshop) გრაფიკული რედაქტორის მუშაობის პრინციპები: ობიექტების შექმნა და დამუშავება, ტექსტთან მუშაობა და მისი სტილიზაციის მეთოდები;
- გამოსახულების დამუშავების პრინციპები: აღდგენა, კორექცია, დეფექტებისა და ცდომილებების მოშორება, კონტრასტების და ტონირების რედაქტირება;
- გრაფიკული რედაქტორების ძირითადი ელემენტების შრეების, არხების, ნიღბებისა და ფილტრების დანიშნულება და მათი მუშაობის პრინციპები.

მსმენელი სასწავლო კურსის გავლის შედეგად შეძლებს: ბუკლეტების, ფლაერების, პლაკატების, სავიზიტო ბარათების და სხვა პოლიგრაფიული ნამუშევრების დიზაინის შემუშავებასა და ბეჭდვისათვის მომზადებას რასტრული (Adobe Photoshop) გრაფიკული რედაქტორის საშუალებით.

მონაწილეთა შეფასების სიტემა:

შეფასება მოხდება მსმენელის მიერ ნამუშევრების (პორტფოლიოს) წარმოდგენის შედეგად.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

კურსის წარმატებულად გავლის შედეგად მსმენელი მიიღებს სერტიფიკატს.

კურსის სტრუქტურა და შინაარსი:

(მიუთითეთ ძირითადი საკითხები, საათების რაოდენობა თითოეული საკითხისათვის, ლიტერატურა)

#	სესიების თემები	საათების რაოდენობა თითოეული სესიისათვის	ლიტერატურა
1	პროგრამა Adobe Photoshop CS5-ის შესავალი სახე: ახალი ფაილის შექმნა. მენიუს განხილვა. პარამეტრების პანელი. ინსტრუმენტების სვეტი.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
2	დაფერვისა და მონიშვნის ხელსაწყოები: მაგნიტური ლასო. ხელსაწყო პიპეტი, ფერების შერჩევა. სურათის დაფერვა, კონტურის დაფერვა. ფიგურის დაფერვა გრადიენტით.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
3	ხელსაწყო ქილა, საშლელი, ფანქარი. ხელსაწყო ფუნჯი, ფუნჯის პატრამეტრების განხილვა F5, საკუთარი ფუნჯის შექმნა. გამოსახულების შენახვა PSD ფორმატში.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
4	სურათის აწყობა ფრაგმენტებიდან. მოქმედების გაუქმება History. პალიტრა Navigator. ხელსაწყო გამადიდებელი, მონიშნული ფიგურის გარდაქმნა. გამოსახულების კადრირება. შრეების პალიტრა. შრეების რედაქტირება გადატანა ერთი ფაილიდან მეორეში, წაშლა. ახალი შრის შექმნა. შრეების გაერთიანება. გამოსახულების შენახვა JPEG, PNG, GIF, TIF ფორმატებში.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
5	სურათის სკანირება და კორექცია: სკანირებული სურათის გასწორება და კადრირება. ხელსაწყო კადრი (Crop). ტონების კორექცია. ფრაგმენტის მონიშვნა სწრაფი ნიღბით. შავ-თეთრი სურათის გაფერადება. ხელსაწყო	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.

	მხატვრული ფუნჯი. ხელსაწყო მხატვრული აღმდგენი ფუნჯი.		
6	გამოსახულების რეტუშირება და კოლაჟი: გამოსახულების ელემენტის მოშორება. გამოსახულების რეტუშირება. ხელსაწყო შტამპი. ხელსაწყო კალამი. სურათის ფონის შეცვლა. ეფექტი დაცემული ჩრდილი. გამოსახულებაში ფონის შეცვლა. ხელსაწყო გაღიავება, გამუქება. ანარეკლის შექმნა.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
7	სურათის ჩასმა მონიშნულ არეში: გამოსახულების ზომის შეცვლა. სურათის ფრაგმენტის ჩასმა მონიშნულ არეში. დაფერვა შაბლონით. ორი გამოსახულების კოლაჟი სწრაფი ნიღბის გამოყენებით. შრეების ზედდების რეჟიმი.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
8	ფილტრებთან მუშაობა: ფილტრების დანიშნულება. შარავანდის ეფექტი. ნათების, ყინულის, ცეცხლის, შტამპის ეფექტი. ხელსაწყო ტექსტი და ეფექტები: ვერტიკალური ტექსტი. ტექსტის შემოწერა მრუდზე. ტექსტის განლაგება და მისი ტრასფორმაციის რეჟიმები. პალიტრა Styles. ახალი სტილების დამატება.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
9	ანიმაციებთან მუშაობა. არსებული დოკუმენტის ტრასფორმაცია სხვადასხვა გრაფიკულ ფორმატში.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
10	კომპოზიცია – პლაკატი: მაკორექტირებელი შრე. ფურცლის ზომის გაზრდა. ნიღაბი შრეზე. გამოსახულების დაბეჭდვა პრინტერზე.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:

პერსონალური კომპიუტერებითა და ვიდეო პროექტორით აღჭურვილი ლაბორატორია.